

## ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 34

### შუალედური ფინანსური ანგარიშგება

#### მიზანი

წინამდებარე სტანდარტის მიზანია, დაადგინოს შუალედური ფინანსური ანგარიშგების მინიმალური შემადგენლობა და აღიარებისა და შეფასების კრიტერიუმები, შუალედური საანგარიშგებო პერიოდის სრულ ან შემოკლებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. დროული და საიმედო შუალედური ფინანსური ანგარიშგება უფრო მეტ შესაძლებლობებს აძლევს ინვესტორებს, კრედიტის გამცემებსა და სხვა მომხმარებლებს, რათა გაიგონობიერონ საწარმოს ფულადი სახსრებისა და შემოსავლების გამომუშავების უნარი, მისი ფინანსური მდგომარეობა და ლიკვიდობა.

#### მოქმედების სფერო

1. მოცემული სტანდარტით არ განისაზღვრება, რომელმა საწარმომ უნდა გამოაქვეყნოს შუალედური ფინანსური ანგარიშგება, რა სიხშირით და რამდენად მალე, შუალედური საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება, ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი ორგანოები, საფონდო ბირჟები და ბუღალტერთა ორგანიზაციები ხშირად მოითხოვენ, რომ საწარმოებმა, რომელთა სავალო ან წილობრივი ფასიანი ქაღალდები საჯაროდ იყიდება, გამოაქვეყნონ შუალედური ფინანსური ანგარიშგება. წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება მაშინ, როდესაც საწარმოს მოთხოვნა ან თავად ირჩევს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შუალედური ფინანსური ანგარიშის გამოქვეყნებას. იმ საწარმოებს, რომლებიც მონაწილეობენ ფასიანი ქაღალდების საჯარო ვაჭრობაში, ბასს-ის კომიტეტი<sup>1</sup> რეკომენდაციას აძლევს გამოაქვეყნონ შუალედური ფინანსური ანგარიშგება მოცემული სტანდარტის აღიარების, შეფასებისა და ინფორმაციის განმარტების პრინციპების შესაბამისად. კერძოდ, ფასიანი ქაღალდების საჯარო ვაჭრობაში მონაწილე საწარმოთათვის რეკომენდებულია:
  - ა) შუალედური ფინანსური ანგარიშგება მოამზადონ თავიანთი ფინანსური წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით მაინც; და
  - ბ) თავიანთი ფინანსური ანგარიშგება ხელმისაწვდომი გახადონ არა უგვიანეს 60 დღის განმავლობაში, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.
2. წლიური თუ შუალედური ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან ცალ-ცალკე ფასდება. ის ფაქტი, რომ საწარმოს შეეძლო არ წარედგინა შუალედური ფინანსური ანგარიშგება კონკრეტული ფინანსური წლის განმავლობაში, ან წარედგინა ისეთი შუალედური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე სტანდარტს, არ ნიშნავს იმას, რომ საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგება არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, თუ ისინი უპასუხებენ ფასს სტანდარტებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს.
3. თუ საწარმოს შუალედური ფინანსური ანგარიშგება დახასიათდება, როგორც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, იგი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე სტანდარტის ყველა მოთხოვნას. ამასთან დაკავშირებით, სტანდარტის მე-19 პუნქტი ითვალისწინებს გარკვეულ განმარტებით შენიშვნებს.

1. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის სამართალმემკვიდრეა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო, რომელმაც ფუნქციონირება 2001 წელს დაიწყო.

## განმარტებები

### 4. წინამდებარე სტანდარტში გამოიყენება შემდეგი ცნებები:

*შუალედური პერიოდი* არის ფინანსური ანგარიშგების პერიოდი, რომელიც უფრო მოკლეა, ვიდრე სრული ფინანსური წელი.

*შუალედური ფინანსური ანგარიშგება* აღნიშნავს ისეთ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც შეიცავს ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს (როგორც აღწერილია ბასს 1-ში - „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“ (შესწორებული 2007 წელს)), ან შემოკლებულ კომპლექტს (როგორც აღწერილია მოცემულ სტანდარტში) შუალედური საანგარიშგებო პერიოდისათვის.

### შუალედური ფინანსური ანგარიშგების შედგენილობა

#### 5. ბასს 1-ით განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის;
- ბ) პერიოდის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას;
- გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებას;
- დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას;
- ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია;
- ეა) შესადარისი ინფორმაცია წინა საანგარიშგებო პერიოდის შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 1-ის 38-ე და 38ა პუნქტებში; და
- ვ) წინა პერიოდის დასაწყისისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, როდესაც საწარმო რეტროსპექტულად იყენებს სააღრიცხვო პოლიტიკას, ან ფინანსური ანგარიშგების მუხლებს გადაიანგარიშებს რეტროსპექტულად, ან როდესაც საწარმო ცვლის ფინანსური ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაციას ბასს 1-ის 40ა-40დ პუნქტების შესაბამისად.

საწარმოს უფლება აქვს, სხვა სახელწოდებები გამოიყენოს ზემოთ ჩამოთვლილი ანგარიშგებებისთვის, მაგალითად, „სრული შემოსავლის ანგარიშგება“, ნაცვლად „მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება“

#### 6. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დროულობა და დანახარჯების კომპენსაცია და თავიდან იქნეს აცილებული წინა საანგარიშგებო პერიოდების ინფორმაციის გამეორება, საწარმოს შეიძლება მოეთხოვებოდეს, ან თავად ირჩევდეს, შუალედური საანგარიშგებო თარიღისათვის, წლიურ ფინანსურ ანგარიშგებასთან შედარებით მცირე ინფორმაციის წარდგენას. წინამდებარე სტანდარტით დადგენილია შუალედური ფინანსური ანგარიშგების მინიმალური შინაარსი და მოცულობა, რაც გულისხმობს შემოკლებული ფინანსური ანგარიშგებისა და შერჩეული განმარტებითი შენიშვნების წარდგენას. შუალედური ფინანსური ანგარიშგება განკუთვნილია განახლებული ინფორმაციის წარსადგენად უკანასკნელი წლიური ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტთან შედარებით. შესაბამისად, შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ყურადღება გამახვილებულია ახალ საქმიანობაზე, მოვლენებსა და გარემოებებზე და არ იმეორებს წინა პერიოდში წარდგენილ ინფორმაციას.

#### 7. წინამდებარე სტანდარტი არ კრძალავს, რომ საწარმომ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგინოს ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტი (ისე, როგორც აღწერილია ბასს 1-ში), შემოკლებული ფინანსური ანგარიშგებისა და შერჩეული განმარტებითი შენიშვნების ნაცვლად. მოცემული სტანდარტი არც კრძალავს და არც მხარს უჭერს იმას, რომ საწარმომ თავის შემოკლებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჩართოს იმ მინიმალურ ძირითად მუხლებსა და შერჩეულ განმარტებით შენიშვნებზე მეტი ინფორმაცია, რაც დადგენილია წინამდებარე სტანდარტში. მოცემული სტანდარტის აღიარებისა და შეფასების რეკომენდაციები ასევე გამოიყენება შუალედური პერიოდის სრული ფინანსური ანგარიშგებისთვისაც. ასეთმა ანგარიშგებამ უნდა მოიცავს მოცემული სტანდარტით მოთხოვნილი ყველა სახის ინფორმაციის განმარტება (კერძოდ, 16ა პუნქტში განხილუ-

ლი შერჩეული შენიშვნები), ისევე როგორც სხვა ფასს სტანდარტებით მოთხოვნილი განმარტებები.

**შუალედური ფინანსური ანგარიშგების მინიმალური ელემენტები**

- 8. შუალედური ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს, როგორც აუცილებელ მინიმუმს:
  - ა) შემოკლებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
  - ბ) მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შემოკლებულ ანგარიშგებას, ან შემოკლებულ ანგარიშგებებს;
  - გ) შემოკლებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;
  - დ) შემოკლებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; და
  - ე) შერჩეულ განმარტებით შენიშვნებს.
- 8ა. თუ საწარმო მოგების ან ზარალის კომპონენტებს განცალკევებულ ანგარიშგებაში წარადგენს, როგორც აღწერილია ბასს 1-ის (შესწორებული 2011 წელს) 10ა პუნქტში, მან ამ ანგარიშგებიდან უნდა წარმოადგინოს შუალედური კრებსითი ინფორმაცია.

**შუალედური ფინანსური ანგარიშგების ფორმა და შინაარსი**

- 9. თუ საწარმო შუალედურ საანგარიშგებო პერიოდში აქვეყნებს ფინანსურ ანგარიშგებას სრული კომპლექტის სახით, ამგვარი ანგარიშგების ფორმა და შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ბასს 1-ის მოთხოვნებს, სრული ფინანსური ანგარიშგების შესახებ.
- 10. თუ საწარმო შუალედურ საანგარიშგებო პერიოდში აქვეყნებს შემოკლებული ფინანსური ანგარიშგების კომპლექტს, ამგვარი ფინანსური ანგარიშგება, როგორც მინიმუმში, უნდა მოიცავდეს ყველა იმ დასათაურებასა და შუალედურ შედეგს, რომლებიც ჩართული იყო ყველაზე უახლეს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში, აგრეთვე შერჩეულ განმარტებით შენიშვნებს, როგორც მოთხოვს მოცემული სტანდარტი. ძირითადი მუხლების ან შენიშვნების დამატება მაშინ არის საჭირო, თუ მათი გამოტოვება დამახინჯებულად წარმოადგენს შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებას.
- 11. ანგარიშგებაში, სადაც წარმოდგენილია შუალედური პერიოდის მოგების ან ზარალის კომპონენტები, საწარმომ უნდა წარადგინოს იმ საანგარიშგებო პერიოდის საბაზისო და გაზავებული შემოსავლები ერთ აქციაზე, როდესაც საწარმო ხვდებოდა ბასს 33-ის - „შემოსავალი აქციაზე“<sup>2</sup> - მოქმედების სფეროში.
- 11ა. თუ საწარმო მოგების ან ზარალის კომპონენტებს განცალკევებულ ანგარიშგებაში წარადგენს, როგორც აღწერილია ბასს 1-ის (შესწორებული 2011 წელს) 10ა პუნქტში, მან ამ ანგარიშგებაში უნდა წარადგინოს ერთ აქციაზე საბაზისო და გაზავებული შემოსავლებიც.
- 12. ბასს 1-ში (შესწორებული 2007 წელს) მოცემულია სახელმძღვანელო რეკომენდაციები ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურის შესახებ. ბასს 1-ის დანერგვის მითითებები გვიჩვენებს გზებს, რომლითაც შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, სრული შემოსავლის ანგარიშგება და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.
- 13. [გაუქმებულია]
- 14. თუ საწარმოს ყველაზე ბოლო წლიური ანგარიშგება კონსოლიდირებული ანგარიშგება იყო, შუალედური ფინანსური ანგარიშგებაც უნდა მომზადდეს კონსოლიდირებულ საფუძველზე. მშობელი საწარმოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ არის შესაბამისი ან შესადარისი ყველაზე უახლოესი წლიური ფინანსური ანგარიშგებაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების. თუ საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგებაში კონსოლიდირებულ ფინანსურ

2. ეს პუნქტი შიგვალა 2008 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფასს სტანდარტების გაუმჯობესება“ - შედეგად, ბასს 34-ის მოქმედების სფეროს დაზუსტების მიზნით.

ანგარიშგებასთან ერთად საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასაც შეიცავდა, წინამდებარე სტანდარტით არც მოითხოვება და არც იკრძალება, რომ მშობელი საწარმოს ინდივიდუალური ანგარიშგება ჩაირთოს საწარმოს შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**მნიშვნელოვანი მოვლენები და ოპერაციები**

- 15. საწარმომ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა წარმოადგინოს იმ მოვლენებისა და ოპერაციების ახსნა, რომლებიც მნიშვნელოვანია უკანასკნელი წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდგომ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და მისის საქმიანობის შედეგებში მომხდარი ცვლილებების გაგების თვალსაზრისით. ამგვარ მოვლენებთან და ოპერაციებთან დაკავშირებით ინფორმაციის წარდგენა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში გულისხმობს იმ ინფორმაციის განახლებას, რომელიც უკვე წარდგენილი იყო ბოლო წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში.
- 15ა. საწარმოს შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი იქნება საწარმოს ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგებაც. ამიტომ აუცილებელი არ არის, რომ შუალედური ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი იყოს იმ ინფორმაციის შედარებით უმნიშვნელო კორექტირებები (ცვლილებები), რომლებიც უკვე წარდგენილი იყო ბოლო წლიურ ანგარიშგებაში.
- 15ბ. ქვემოთ ჩამოთვლილია მოვლენები და ოპერაციები, რომელთა გამჟღავნებაც აუცილებელია, თუ ისინი მნიშვნელოვანია. მაგალითების სია არ არის ამომწურავი.
  - ა) მარაგის ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე და ამგვარი ჩამოწერილი თანხების აღდგენა;
  - ბ) ფინანსური აქტივების, ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების, მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივების, ან სხვა აქტივების გაუფასურების ზარალის აღიარება და ამ ზარალის აღდგენა;
  - გ) რეორგანიზაციის დანახარჯებისთვის შექმნილი ნებისმიერი ანარიცხების შემცირება;
  - დ) ძირითადი საშუალებების შეძენა და გაყიდვა;
  - ე) ძირითადი საშუალებების შესყიდვის ვალდებულებები;
  - ვ) სასამართლო პროცესთან დაკავშირებით გადახდილი თანხები;
  - ზ) წინა პერიოდის შეცდომების გასწორება;
  - თ) საწარმოს ბიზნესში, ან ეკონომიკურ პირობებში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაზე, იმის მიუხედავად, ეს ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით იყო აღიარებული, თუ ამორტიზებული ღირებულებით;
  - ი) ნებისმიერი შეუსრულებელი სასესხო ვალდებულება ან ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევა, თუ სიტუაცია არ გამოსწორებულა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებამდე;
  - კ) დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები;
  - ლ) შეფასებების გადანაცვლება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის, რომელიც გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად;
  - მ) ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის შეცვლა, აქტივების დანიშნულების, ან მათი გამოყენების წესში მომხდარო ცვლილების გამო; და
  - ნ) ცვლილებები პირობით ვალდებულებებში, ან პირობით აქტივებში.
- 15გ. 15ბ პუნქტში ჩამოთვლილ ბევრ მუხლთან დაკავშირებით განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესრულების შესახებ მითითებებს მოიცავს სხვადასხვა ფასს სტანდარტი. როდესაც ესა თუ ის მოვლენა ან ოპერაცია მნიშვნელოვანია საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და მისის საქმიანობის შედეგებში ბოლო წლიური საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი ცვლილებების გასაგებად, საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული

უნდა იყოს ამ მოვლენებისა თუ ოპერაციები სათანადო ახსნა და განახლებული უნდა იყოს ბოლო წლიური საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი შესაფერისი ინფორმაცია.

16. [გაუქმებულია]

**სხვა ინფორმაციის გამჟღავნება**

16ა. საწარმომ მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ოპერაციების შესახებ 15-15გ პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაციის გარდა ასევე უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია შუალედური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, ან სადმე სხვაგან შუალედურ ფინანსურ ანგარიშში. ქვემოთ განხილული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან მასში გაერთიანებული უნდა იყოს სხვა დოკუმენტზე მითითების გზით (როგორცაა, მაგალითად ხელმძღვანელობის კომენტარები, ან ანგარიში რისკების შესახებ), რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომია ისეთივე პირობებით და იმავე დროს, როგორც თვითონ შუალედური ფინანსური ანგარიშგება. თუ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის ისეთივე პირობებით და იმავე დროს ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია, რომელიც შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში გაერთიანებულია სხვა დოკუმენტზე მითითების მეშვეობით, ასეთი შუალედური ფინანსური ანგარიშგება არ არის სრულყოფილი. როგორც წესი, ზემოაღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ფინანსური წლის დასაწყისიდან მოცემულ თარიღამდე საფუძველზე.

- ა) განცხადება, რომ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა და გაანგარიშების მეთოდები, რომლებიც გამოიყენებოდა ბოლო წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან თუ სააღრიცხვო პოლიტიკა ან მეთოდები შეცვლილია, აღწეროს ამ ცვლილებების შინაარსი და გავლენა;
- ბ) განმარტებები შუალედური პერიოდის საქმიანობის სეზონურობის ან ციკლურის ხასიათის შესახებ;
- გ) ისეთი მუხლების შინაარსი და თანხები, რომლებიც გავლენას ახდენს აქტივებზე, ვალდებულებებზე, საკუთარ კაპიტალზე, წმინდა შემოსავალზე ან ფულად ნაკადებზე და უჩვეულოა თავიანთი ხასიათის, სიდიდის ან ზემოქმედის გამო;
- დ) მიმდინარე ფინანსური წლის წინა შუალედურ პერიოდებში წარდგენილი თანხების შეფასებებში მომხდარი ცვლილებების შინაარსი და თანხა, ან წინა ფინანსურ წლებში წარდგენილი თანხების შეფასებებში მომხდარი ცვლილებების შინაარსი და თანხა;
- ე) სავალო და წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვება, გამოსყიდვა და დაფარვა;
- ვ) გადახდილი დივიდენდები (მთლიანად და ერთ აქციაზე), ცალ-ცალკე ჩვეულებრივი აქციებისა და დანარჩენი აქციებისათვის;
- ზ) შემდეგი სეგმენტური ინფორმაცია (სეგმენტური მონაცემების განმარტებები შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოითხოვება მხოლოდ მაშინ, თუ ფასს 8-ის - „საოპერაციო სეგმენტები“ - მოითხოვს საწარმოს სეგმენტური მონაცემების განმარტებას წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში):
  - (i) გარე მომხმარებლებისაგან მიღებული ამონაგები, თუ ეს თანხები გაითვალისწინება სეგმენტის მოგების ან ზარალის მაჩვენებლის ანალიზში, რომელსაც ატარებს გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი, ან ეს თანხები რაიმე სხვა მიზნით რეგულარულად მიეწოდება გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ პირს;
  - (ii) სეგმენტთაშორისი ამონაგების თანხები, თუ ისინი გაითვალისწინება სეგმენტის მოგების ან ზარალის მაჩვენებლის ანალიზში, რომელსაც ატარებს გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი, ან ეს თანხები რაიმე სხვა მიზნით რეგულარულად მიეწოდება გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ პირს;
  - (iii) სეგმენტის მოგების ან ზარალის შეფასება;

- (iv) კონკრეტული საანგარიშგებო სეგმენტის მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება, თუ ეს თანხები რეგულარულად მიეწოდება გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ პირს და, ამასთან, ეს თანხები არსებითად შეცვლილია იმასთან შედარებით, რაც ნაჩვენებია იყო ბოლო წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ამ საანგარიშგებო სეგმენტის შესახებ;
  - (v) იმ ცვლილებების აღწერა, რომელიც განხორციელდა ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგების შემდეგ სეგმენტაციის საფუძველში, ან სეგმენტის მოგების ან ზარალის მაჩვენებლის შეფასების საფუძველში;
  - (vi) შემაჯერებელი მონაცემები საანგარიშგებო სეგმენტების მთლიანი მოგების ან ზარალის მაჩვენებლებისა - საგადასახადო ხარჯამდე (საგადასახადო შემოსავლამდე) და შეწყვეტილ ოპერაციებამდე არსებულ საწარმოს მოგებასთან ან ზარალთან. თუმცა, თუ საწარმო საანგარიშგებო სეგმენტებზე ისეთ მუხლებსაც ანაწილებს, როგორცაა, საგადასახადო ხარჯი (საგადასახადო შემოსავალი), მაშინ საწარმოს შეუძლია აჩვენოს სეგმენტების მთლიანი მოგების ან ზარალის მაჩვენებლების შეჯერება საწარმოს მოგების ან ზარალის იმ მაჩვენებლებთან, რომლებიც ამ მუხლების შემდეგ რჩება; არსებითი შესაჯერებელი მუხლები ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი და დახასიათებული შემაჯერებელ ინფორმაციაში;
- თ) შუალედური საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ისეთი მოვლენები, რომლებიც არ აისახა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში;
- ი) შუალედურ პერიოდში საწარმოს სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების გავლენა, როგორცაა, მაგალითად, საწარმოთა გაერთიანება, შვილობილ საწარმოებზე კონტროლის აღება ან დაკარგვა და გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა ან გაყიდვა, რეორგანიზაცია და შეწყვეტილი ოპერაციები. საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ფასს 3-ის - „საწარმოთა გაერთიანება“ - შესაბამისად;
- კ) ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შესახებ, რომელიც მოითხოვება ფასს 13-ის - „სამართლიანი ღირებულების შეფასება“ - 91-93(თ), 94-96-ე, 98-ე და 99-ე მუხლებით და ფასს 7-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ - 25-ე, 26-ე და 28-30-ე პუნქტებით;
- ლ) საწარმოებისთვის, რომლებიც კლასიფიცირდება საინვესტიციო საწარმოდ, (ფასს 10-ში - „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ - მოცემული განმარტების თანახმად) ან პირიქით, რომელიც აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო საწარმოდ კლასიფიცირების კრიტერიუმებს - ფასს 12-ის - „განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ“ - 9ბ პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია;
- მ) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები დეზაგრეგირებული სახით, ფასს 15-ის - „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ - 114-115-ე პუნქტების შესაბამისად.

17-

18. [გაუქმებულია]

**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები**

19. თუ საწარმოს შუალედური ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება წინამდებარე სტანდარტს, ეს ფაქტი უნდა აღინიშნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებას არ შეიძლება ეწოდოს ფასს სტანდარტების შესაბამისი, თუ იგი არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ყველა მოთხოვნას.

**პერიოდები, რომლისთვისაც მოითხოვება შუალედური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა**

20. შუალედური ანგარიშგება (შემოკლებული ან სრული) უნდა მოიცავდეს შემდეგი პერიოდების შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებს:
- ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას მიმდინარე შუალედური პერიოდის დასასრული-სათვის და შესადარის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას უშუალო წინა ფინანსური წლის საანგარიშგებო თარიღისთვის;
  - ბ) მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებს მიმდინარე შუალედური პერიოდისთვის და მიმდინარე ფინანსური წლის დასაწყისიდან მიმდინარე თარიღამდე, უშუალო წინა ფინანსური წლის შესადარისი შუალედური პერიოდების შესადარის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებთან (მიმდინარე და წლის დასაწყისიდან მიმდინარე თარიღამდე) ერთად. ბასს 1-ის (შესწორებული 2011 წელს) თანახმად, შუალედური ანგარიშგება შეიძლება წარმოდგენილი იყოს თითოეული პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებით,
  - გ) საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს მიმდინარე ფინანსური წლის დასაწყისიდან საანგარიშგებო თარიღამდე პერიოდს, უშუალო წინა ფინანსური წლის შესადარის საანგარიშგებო თარიღამდე პერიოდისათვის შედგენილ ანგარიშგებასთან ერთად; და
  - დ) ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს მიმდინარე ფინანსური წლის დასაწყისიდან საანგარიშგებო თარიღამდე პერიოდს, უშუალო წინა ფინანსური წლის შესადარის საანგარიშგებო თარიღამდე პერიოდისათვის შედგენილ ანგარიშგებასთან ერთად; და
21. საწარმოსათვის, რომლის საქმიანობა მაღალი სეზონურობით ხასიათდება, თორმეტი თვის ფინანსური ინფორმაცია, რომელიც მთავრდება შუალედური საანგარიშგებო თარიღისათვის და მისი შესადარისი წინა თორმეტთვიანი პერიოდის შესახებ, შესაძლოა სასარგებლო იყოს. შესაბამისად, საწარმოებს, რომელთა საქმიანობაც მაღალი სეზონურობით ხასიათდება, რეკომენდაცია ეძლევათ განიხილონ ამგვარი ინფორმაციის წარდგენის შესაძლებლობა იმ ინფორმაციასთან ერთად, რომელიც აღნიშნული იყო წინა პუნქტში.
22. საილუსტრაციო მაგალითების ა განყოფილებაში, რომელიც დაერთვის სტანდარტს, ნაჩვენებია, თუ რა პერიოდებისათვის უნდა წარადგინოს ინფორმაცია საწარმომ, რომელიც ანგარიშგებას ადგენს ნახევარწლიურად და რა პერიოდებისათვის იმ საწარმომ, რომელიც ანგარიშგებას კვარტალურად ადგენს.

**არსებითობა**

23. იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა მოხდეს შუალედური ფინანსური ანგარიშგებისათვის მუხლების აღიარება, შეფასება, კლასიფიცირება ან განმარტება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, არსებითობა უნდა განისაზღვროს შუალედური საანგარიშგებო პერიოდის მონაცემების მიმართ. არსებითობის შეფასებისას უნდა აღიარდეს, რომ შუალედური შეფასებები შესაძლოა ეყრდნობოდეს უფრო დიდი ზომის სააღრიცხვო შეფასებებს, ვიდრე წლიური ფინანსური მონაცემების მაჩვენებლები.
24. არსებითი ინფორმაცია განმარტებულია ბასს 1 -ში და სტანდარტი მოითხოვს არსებითი ინფორმაციის ცალკე გამოყოფას, მაგალითად, შეწყვეტილი ოპერაციების, ხოლო ბასს 8 - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები” მოითხოვს სააღრიცხვო შეფასებებსა და სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებებისა და შეცდომების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას შენიშვნებში. არც ერთი ზემოაღნიშნული სტანდარტი არ შეიცავს მითითებებს არსებითობის რაოდენობრიობის დადგენის შესახებ.
25. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მოითხოვება დასაბუთება არსებითობის შესაფასებლად, წინამდებარე სტანდარტი ითვალისწინებს აღიარებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას მხოლოდ შუალედური მონაცემების საფუძველზე, შუალედური მონაცემების აღქმის მოტივაციით. ამგვარად, მაგალითად, უჩვეულო მუხლების, სააღრიცხვო პოლიტიკაში ან შეფასებებში მომხდარი ცვლილებებისა და შეცდომების აღიარება და

განმარტება გამომდინარეობს შუალედური პერიოდის მონაცემების არსებითობიდან იმ მცდარი დასკვნების თავიდან ასაცილებლად, რაც შეიძლება ინფორმაციის აუხსნელობას მოჰყვეს. მთავარი, შუალედური ფინანსური ანგარიშგება შეიცავდეს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა შუალედურ საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების გასაგებად.

**განმარტებითი შენიშვნები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში**

- 26. თუ შუალედურ საანგარიშგებო პერიოდში წარდგენილი რომელიმე თანხის შეფასება მნიშვნელოვნად შეიცვალა ფინანსური წლის ბოლო შუალედური პერიოდის განმავლობაში, მაგრამ ბოლო შუალედური პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ცალკე არ გამოქვეყნებულა, მაშინ მოცემული ფინანსური წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, შენიშვნის სახით, უნდა აიხსნას ამ შეფასებაში მომხდარი ცვლილების შინაარსი და სიდიდე.
- 27. ბასს 8-ით მოთხოვება, რომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახოს შეფასებაში მომხდარი ისეთი ცვლილების შინაარსი (თუ პრაქტიკულად შესაძლებელია) და სიდიდე, რომელსაც შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს მიმდინარე ან მომავალ საანგარიშგებო პერიოდებზე. მოცემული სტანდარტის 16 (დ) პუნქტი ითვალისწინებს მსგავს განმარტებას შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაშიც. ამის მაგალითებია, ბოლო შუალედური პერიოდის მარაგის ჩამოწრასთან, რესტრუქტურულიზაციასთან ან ზარალთან დაკავშირებულ სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილებები, მოცემული ფინანსური წლის წინა გაუფასურების შუალედურ პერიოდთან შედარებით. წინა პუნქტით გათვალისწინებული განმარტებები შეესაბამება ბასს 8-ის მოთხოვნებს და ეხება მხოლოდ სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარ ცვლილებებს. საწარმოს არ მოეთხოვება წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში შუალედური პერიოდის სხვა დამატებითი ფინანსური ინფორმაციის ჩართვა.

**აღიარება და შეფასება**

**იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა, როგორც წლიური**

- 28. საწარმომ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაშიც იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა გამოიყენოს, რომელსაც იყენებს წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ისეთი ცვლილებების მიმართ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ყველაზე ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ და უნდა აისახოს შემდგომი პერიოდის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში. მიუხედავად ამისა, საწარმოს ანგარიშგების სიხშირემ (წლიური, ნახევარწლიური ან კვარტალური) ზეგავლენა არ უნდა იქონიოს მისი წლიური შედეგების შეფასებებზე. ამ მიზნით, შუალედური ანგარიშგების შეფასებები უნდა გაკეთდეს წლის მოცემულ თარიღამდე განვლილი პერიოდის საფუძველზე.
- 29. იმის მოთხოვნამ, რომ საწარმო შუალედური და წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის უნდა იყენებდეს ერთსა და იმავე სააღრიცხვო პოლიტიკას, შესაძლოა შთაბეჭდილება შექმნას, რომ შუალედური პერიოდის შეფასებები ისე კეთდება, თითქოს თითოეული მათგანი დამოუკიდებელი საანგარიშგებო პერიოდი იყოს. თუმცა, 28-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ საწარმოს ანგარიშგებლობის სიხშირემ ზეგავლენა არ უნდა მოახდინოს მისი წლიური შედეგების შეფასებებზე, რაც ადასტურებს, რომ შუალედური პერიოდი წარმოადგენს ფინანსური წლის ნაწილს. წლის მოცემულ თარიღამდე გაკეთებული შეფასებები შესაძლოა მოიცავდეს მიმდინარე ფინანსური წლის წინა შუალედურ პერიოდებში წარდგენილ თანხებში მომხდარ ცვლილებებს, მაგრამ შუალედური პერიოდის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების აღიარებისას და წლიური ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოიყენება ერთი და იგივე პრინციპები.
- 30. მაგალითად:
  - ა) შუალედურ პერიოდში მარაგის ჩამოწრით, რესტრუქტურულიზაციითა და გაუფასურებით მიღებული ზარალის აღიარება და შეფასება ხდება იმავე პრინციპების მიხედვით, რომლებიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო ამზადებს მხოლოდ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას. მიუხედავად ამისა, თუ ასეთი მუხლები აღიარებული და შეფასებულია ერთ შუალედურ პერიოდში და ეს შეფასებები შეიცვლება იმავე ფინანსური წლის შემდგომ შუალედურ პერიოდში, თავდაპირველი შეფასების შეცვლა შემდგომ შუალედურ პერიოდში ხდება



- ზარალის დამატებითი თანხის დარიცხვით ან ადრე აღიარებული ზარალის თანხის აღდგენით;
- ბ) დანახარჯები, რომლებიც შუალედური პერიოდის ბოლოს არ აკმაყოფილებს აქტივის განმარტებას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ გადაიტანება არც მომავალში ინფორმაციის მიღების მოლოდინში იმის შესახებ, დააკმაყოფილებს თუ არა იგი აქტივის განმარტებას, არც იმისათვის, რომ შემოსავლები თანაბრად გადაანაწილდეს შუალედურ პერიოდებზე ფინანსური წლის განმავლობაში;
  - გ) მოგებიდან გადასახადის აღიარება შუალედურ პერიოდში ხდება ფინანსური წლის განმავლობაში მოსალოდნელი მოგებიდან, გადასახადის წლიური განაკვეთის საშუალო შეწონილი სიდიდის საუკეთესო შეფასების მიხედვით. ერთ შუალედურ პერიოდში დარიცხული მოგებიდან გადასახადის ხარჯის თანხა შესაძლოა შესწორდეს მოცემული ფინანსური წლის შემდგომ შუალედურ პერიოდში, თუ მოგებიდან გადასახადის წლიური განაკვეთის შეფასება შეიცვლება.
31. *ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში (კონცეპტუალური საფუძვლები)* მოცემული განმარტების მიხედვით, აღიარება არის ისეთი ობიექტის იდენტიფიკაციის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ელემენტის – აქტივის, ვალდებულების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლის ან ხარჯების განმარტებას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ან ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში) მისი ასახვის მიზნით. როგორც წლიური, ისე შუალედური ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო თარიღისთვის მუხლების აღიარებისთვის განმსაზღვრელია აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების განმარტება.
  32. აქტივებისათვის, შუალედური თარიღისა და ფინანსური წლის დასასრულისათვის გამოიყენება - მომავალი ეკონომიკური სარგებლის შეფასების ერთი და იგივე კრიტერიუმები. ის დანახარჯები, რომლებიც ფინანსური წლის ბოლოს თავიანთი შინაარსის მიხედვით აქტივად არ კლასიფიცირდება, შუალედურ პერიოდშიც არ იქნება მიკუთვნებული აქტივზე. ამის მსგავსად, შუალედური საანგარიშგებო თარიღისათვის ვალდებულება ისევე უნდა ასახავდეს მოცემული თარიღისათვის არსებულ ვალდებულებას, როგორც წლიური საანგარიშგებო პერიოდის თარიღისათვის.
  33. შემოსავლის (ამონაგების) და ხარჯების ძირითადი მახასიათებელი ის არის, რომ შესაბამისი აქტივებისა და ვალდებულებების შემოსვლა ან გასვლა უკვე მოხდა. თუ ეს შემოსვლა და გასვლა უკვე განხორციელდა, მაშინ ხდება შესაბამისი შემოსავლის ან ხარჯის აღიარება; სხვა შემთხვევაში აღიარება არ ხდება. *კონცეპტუალური საფუძვლებით* დაშვებული არ არის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ისეთი ობიექტების აღიარება, რომლებიც არ აკმაყოფილებს აქტივის ან ვალდებულების განმარტებას.
  34. საწარმოს, რომელიც წარადგენს მხოლოდ წლიურ ანგარიშგებას, აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების და ფულადი ნაკადების შეფასებისას შესაძლებლობა აქვს გაითვალისწინოს ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი ხდება მთელი ფინანსური წლის მანძილზე. ფაქტობრივად, აღნიშნული შეფასებები ხორციელდება წლის დასაწყისიდან მოცემულ თარიღამდე პერიოდის საფუძველზე.
  35. საწარმო, რომელიც ამზადებს ნახევარწლიურ ანგარიშგებას, პირველი ექვსთვიანი პერიოდის შეფასებებისათვის გამოიყენებს წლის შუა პერიოდისათვის ან უახლოესი შემდგომი პერიოდისათვის არსებულ ინფორმაციას, ხოლო მეორე თორმეტთვიანი პერიოდის შეფასებებისათვის - წლის ბოლოსათვის ან უახლოესი შემდგომი პერიოდისათვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას. თორმეტი თვის მონაცემები ასახავს პირველი ექვსთვიანი პერიოდისათვის გაკეთებული შეფასებების შესაძლო ცვლილებებს. თანხები, რომლებიც წარმოდგენილია ექვსთვიანი შუალედური პერიოდებისათვის, არ კორექტირდება რეტროსპექტულად. თუმცა, 16ა (დ) და 26-ე პუნქტებით მოთხოვნილია შეფასებებში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი ცვლილების შინაარსისა და შესაბამისი თანხის გამჟღავნება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
  36. საწარმო, რომელიც ანგარიშგებას ახორციელებს ნახევარწლიან პერიოდებზე უფრო ხშირად, ყოველი შუალედური პერიოდისათვის შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებას აკეთებს წლის დასაწყისიდან საანგარიშგებო თარიღამდე განვლილი შუალედური პერიოდისათვის არსებული მონაცემების საფუძველზე, რომელიც ხელმისაწვდომია ფინანსური ანგარიშგების თითოეული კომპლექტის მომზადების მომენტისათვის. მიმდინარე შუალედურ პერიოდში წარდგენილი შემოსავ-

ლებისა და ხარჯების თანხები უნდა ასახავდეს მოცემული ფინანსური წლის წინა შუალედურ პერიოდში წარდგენილი თანხების ნებისმიერ ცვლილებას. წინა შუალედური პერიოდების თანხების კორექტირება არ ხდება რეტროსპექტულად. თუმცა, 16ა (დ) და 26-ე პუნქტებით მოთხოვნილია შეფასებებში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი ცვლილების შინაარსისა და შესაბამისი თანხის ასახვა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

**ამონაგები, რომელიც მიიღება სეზონურად, ციკლურად ან შემთხვევით**

- 37. ფინანსური წლის განმავლობაში მიღებული სეზონური, ციკლური ან შემთხვევითი ამონაგების გადატანა ან სავარაუდო გამოთვლა დაუშვებელია შუალედური თარიღისათვის, თუ მათი გადატანა ან სავარაუდო გამოთვლა მიზანშეწონილი არ იქნება საწარმოს ფინანსური წლის ბოლოს.
- 38. აქ იგულისხმება დივიდენდის სახით მისაღები ამონაგები, როიალტები და სახელმწიფო გრანტები. ამასთან, ზოგიერთი საწარმო, ფინანსური წლის ზოგიერთ შუალედურ პერიოდში, უფრო მეტ ამონაგებს გამოიმუშავებს, სხვა შუალედურ პერიოდებთან შედარებით, მაგალითად, საცალო ვაჭრობის საწარმოს სეზონური ამონაგები. ასეთი ამონაგების აღიარება ხდება მათი წარმოშობისთანავე.

**ფინანსური წლის განმავლობაში არათანაბარზომიერად გაწეული დანახარჯები**

- 39. ფინანსური წლის განმავლობაში არათანაბარზომიერად გაწეული დანახარჯები წინასწარ უნდა იქნეს გამოთვლილი ან გადატანილი შუალედური ანგარიშგების მიზნებისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ამ ტიპის დანახარჯების გადატანა ან სავარაუდო გამოთვლა მიზანშეწონილი იქნება ფინანსური წლის ბოლოსათვის.

**აღიარებისა და შეფასების პრინციპების გამოყენება**

- 40. საილუსტრაციო მაგალითების ბ განყოფილებაში, რომელიც დაერთვის სტანდარტს, განხილულია 28-39-ე პუნქტებით განსაზღვრული აღიარებისა და შეფასების ზოგადი პრინციპების გამოყენების მაგალითები.

**შეფასებების გამოყენება**

- 41. შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული შეფასების პროცედურები გამიზნული უნდა იყოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ საბოლოო ინფორმაცია საიმედო იქნება; აგრეთვე იმისათვის, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ან მისი საქმიანობის შედეგების გასაგებად საჭირო ყველა არსებითი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ იქნება ასახული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. როგორც წლიური, ისე შუალედური ფინანსური ანგარიშგების მუხლების შეფასება ხშირად ეფუძნება გონივრულ მიახლოებით შეფასებებს. მაგრამ, ზოგადად, შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომზადება უფრო მეტად მოითხოვს მიახლოებითი შეფასების მეთოდების გამოყენებას, ვიდრე წლიური ფინანსური ანგარიშგება.
- 42. საილუსტრაციო მაგალითების გ განყოფილებაში, რომელიც დაერთვის სტანდარტს, ნაჩვენებია შეფასების მეთოდების გამოყენების მაგალითები შუალედური საანგარიშგებო პერიოდებისათვის.

**ადრე შუალედურ პერიოდებში წარდგენილი ანგარიშგების ხელახალი წარდგენა**

- 43. სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები, გარდა იმ ცვლილებისა, რომლისთვისაც ახალი სტანდარტი ან ინტერპრეტაცია განსაზღვრავს გადასვლას, უნდა აისახოს შემდეგი გზით:
  - ა) მიმდინარე ფინანსური წლის წინა შუალედური პერიოდების ფინანსური ანგარიშგებისა და წინა ფინანსური წლების შესადარისი შუალედური პერიოდების ფინანსური ანგარიშგების ხელახალი წარდგენით, რომელიც გადაანგარიშებული იქნება წარდგენილ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში, ბასს 8-ის შესაბამისად; ან
  - ბ) როდესაც ფინანსური წლის დასაწყისში პრაქტიკულად შეუძლებელია ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების მთლიანი ეფექტის განსაზღვრა ყველა წინა საანგარიშგებო პერიოდზე - მიმდინარე ფინანსური წლის წინა შუალედური პერიოდებისა და წინა ფინანსური

**წლების შესადარისი შუალედური პერიოდების ფინანსური ანგარიშგების კორექტირებით, რათა ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენებოდეს პერსპექტიულად, ყველაზე ადრინდელი შესაძლო თარიღიდან.**

44. ზემოთ აღნიშნული პრინციპის მიზანია, რომ მთელი ფინანსური წლის განმავლობაში ოპერაციების ცალკეული ჯგუფებისათვის გამოყენებულ იქნეს ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა. ბასს 8-ის თანახმად, სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილება რეტროსპექტიულად უნდა აისახოს, წინა პერიოდების ფინანსური მაჩვენებლების გადაანგარიშების გზით, უმველესი შესაძლო მონაცემების შესაბამისად. თუმცა, თუ წინა ფინანსური წლების შესაბამისი კორექტირების მთლიანი თანხის დასაბუთებულად განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაშინ ბასს 8-ის შესაბამისად, ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხდება პერსპექტიულად, ყველაზე ადრინდელი შესაძლო თარიღიდან. 43-ე პუნქტში განხილული პრინციპის მიზანია, მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ყველა ცვლილება გამოყენებულ იქნეს რეტროსპექტიულად ან თუ შეუძლებელი არ არის, პერსპექტიულად, არა უგვიანეს ფინანსური წლის დასაწყისიდან.
45. სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების წარდგენის ნებართვა ფინანსური წლის შუალედური თარიღისათვის, შესაძლებელს გახდის ორი განსხვავებული სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებას, ოპერაციების ცალკეული ჯგუფისათვის, ერთი და იმავე ფინანსური წლის განმავლობაში. ამას შედეგად მოჰყვება შუალედური განაწილების სიმძლეეები, საოპერაციო საქმიანობის შედეგების გაზუნდოვანება, აგრეთვე გართულდებოდა შუალედური პერიოდის ინფორმაციის ანალიზი და აღქმა.

## **ძალაში შესვლის თარიღი**

46. წინამდებარე სტანდარტი ძალაში შედის იმ ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს 1999 წლის 1 იანვარს დაწყებულ ან მის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებს. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება.
47. ბასს 1-მა - „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“ - (შესწორებული 2007 წელს) შეცვალა ფასს სტანდარტებში გამოყენებული ტერმინოლოგია. გარდა ამისა, გამოიწვია 4-ე, 5-ე, მე-8, მე-11, მე-12 და მე-20 პუნქტების შეცვლა, მე-13 პუნქტის გაუქმება და 8ა და 11ა პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ბასს 1-ს (შესწორებული 2007 წელს), ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებებიც.
48. ფასს 3-მა (შესწორებული 2008 წელს) განაპირობა 16(ი) პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ფასს 3-ს (შესწორებული 2008 წელს), ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებაც.
49. 2010 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ფასს სტანდარტების გაუმჯობესება*“ - გამოიწვია მე-15, 27-ე, 35-ე და 36-ე პუნქტების შეცვლა, 15ა-15გ და 16ა პუნქტების დამატება და 16-18-ე პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2011 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ამ ცვლილებებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.
50. 2011 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 13-მა - „*სამართლიანი ღირებულების შეფასება*“ - გამოიწვია 16ა(ვ) პუნქტის დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 13-ს.
51. 2011 წლის ივნისში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*სხვა სრული შემოსავლის მუხლების წარდგენა*“ (ბასს 1-ში შესატანი ცვლილებები) - გამოიწვია მე-8, 8ა, 11ა და 20-ე პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ბასს 1-ის 2011 წლის ივნისის შესწორებულ ვერსიას.

52. 2012 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2009-2011 წლების ციკლი*“ - გამოიწვია მე-5 პუნქტის შეცვლა, რაც კონკრეტულად განაპირობა ბასს 1-ში - „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“ - ცვლილებების შეტანამ. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის - „*სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*“ - შესაბამისად, 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ამ ცვლილებას, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.
53. 2012 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2009-2011 წლების ციკლი*“ - გამოიწვია 16ა პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის - „*სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*“ - შესაბამისად, 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ამ ცვლილებებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
54. 2012 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*საინვესტიციო საწარმოები*“ (ფასს 10-ის, ფასს 12-ისა და ბასს 27-ის შესწორებები) - გამოიწვია 16ა პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2014 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ამ ცვლილებას, მან იმავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს დოკუმენტით - „*საინვესტიციო საწარმოები*“ - გათვალისწინებული ყველა ცვლილება.
55. 2014 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 15-მა - „*ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*“ - გამოიწვია 15ბ და 16ა პუნქტების შეცვლა. საწარმომ ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც გამოიყენებს ფასს 15-ს.
56. 2014 წლის სექტემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2012-2014 წლების ციკლი*“ - გამოიწვია 16ა პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის - „*სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*“ - შესაბამისად 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებას უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
57. 2014 წლის დეკემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ინიციატივა ინფორმაციის გამჟღავნების სფეროში*“ (ბასს 1-ის შესწორებები) - გამოიწვია მე-5 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ამ ცვლილების ვადამდელი გამოყენება.
58. 2018 წელს გამოცემულმა დოკუმენტმა - „*შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით*“ - გამოიწვია 31-ე და 33-ე პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, თუ საწარმო იმავდროულად გამოიყენებს ყველა სხვა ცვლილებას, რომელიც განაპირობა დოკუმენტმა - „*შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით*“. საწარმომ ბასს 34-ში შეტანილი ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად ბასს 8-ის - „*სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*“ - შესაბამისად. თუმცა, თუ საწარმო დაადგენს, რომ შეუძლებელია, ან მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა დასჭირდება ამ ცვლილებების რეტროსპექტულად გამოყენებას, მაშინ მან ამ ცვლილებების გამოყენებისას უნდა იხელმძღვანელოს ბასს 8-ის 23-28-ე, 50-53-ე და 54-ე პუნქტებით.
59. 2018 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - *ტერმინის „არსებითი“ განმარტება* - (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის შესწორებები) გამოიწვია 24-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ეს ცვლილებები საწარმომ იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ბასს 1-ის მე-7 პუნქტსა და ბასს 8--ის მე-5 და მე-6 პუნქტებში მოცემული ტერმინის „არსებითი“ განმარტებაში შეტანილ შესწორებებს.

60. *[ეს პუნქტი ისეთ ცვლილებებს ეხება, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.]*